პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	განათლების მეცნიერებები / Education Sciences
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების მაგისტრი / Master of Education Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა - 120 ECTS კრედიტი, 4 სემესტრი: - პროგრამის საერთო სავალდებული კურსები - 75კრედიტი /პირველი, მეორე და მესამე სემესტრი/; - სავალდებულო/არჩევითი კურსები - 10/10 კრედიტი/მესამე სემესტრი/; - არჩევითი კურსები - 15 კრედიტი /მესამე სემესტრი - 6 კრედიტი, მეოთხე სემესტრი - 9 კრედიტი; - სამაგისტრო ნაშრომი -20 კრედიტი /მეოთხე სემესტრი/. პროგრამა ამზადებს განათლების სფეროს სპეციალისტს. სტუდენტი, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, ცოდნას გაიღრმავებს ზოგადი განათლების ან უმაღლესი განათლების ბლოკების მიმართულებით, 10 კრედიტის ოდენობით. ასევე, საკუთარი საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით, სტუდენტს 20 არჩევითი დისციპლინიდან შეუძლია აირჩიოს 5 სასწავლო დისციპლინა მესამე და მეოთხე სემესტრებში. არჩევითი დისციპლინები მესამე სემესტრში წარმოდგენილია 2-დისციპლინიანი ბლოკების, ხოლო მეოთხე სემესტრში 3-დისციპლინიანი ბლოკების სახით.
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ივანე მინდაძე, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი; ქეთევან ჭკუასელი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	- ნებისმიერი დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; - საერთო სამაგისტრო გამოცდა - A ტიპის ტესტი; წერითი გამოცდა პედაგოგიკაში; - ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, განათლების სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დარგში, გაცნობიერებული

	ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, მოამზადოს განათლების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ზოგადპედაგოგიკური და სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა და დაუფლებული იქნება განათლების მეცნიერებების დარგისათვის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კერძოდ, სტუდენტს აქვს პედაგოგიურ/ფსიქოლოგიურ დისციპლინების, განათლებაში კვლევის მეთოდების, განათლების სისტემის საკვანძო ორიენტირების - განათლების პოლიტიკა, განათლების მართვა, განათლების შეფასება და ხარისხის განვითარება - სიღრმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგ საკითხებზე: - პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები; - კვლევის მეთოდები განათლებაში; - განათლების სისტემის ძირითადი ორიენტირები - განათლების პოლიტიკა, განათლების მართვა, განათლების შეფასება და ხარისხის განვითარება; - ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების პროცესები.
უნარები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება, კერძოდ: - ქვეყნის განათლების სისტემის მიმართების განსაზღვრა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და კონკრეტული ღონისძიებების დანერგვა საერთაშორისო სივრცესთან დაახლოების მიზნით; - განათლების მეცნიერებების დარგში მიმდინარე უახლესი სამეცნიერო მიღწევების ღრმა ანალიზი და სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარების მიზნით ინტერვენციის მეთოდოლოგიის შემუშავება და განხორციელება. - განათლების სფეროში მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; - ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემის განათლების ხარისხის განსაზღვრა და შეფასება; - სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზაციის ფორმების, პრინციპებისა დ მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით; - ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების ორგანიზება;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია : - პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმა და გადაწყვეტა; - სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება; - პროფესიულ საქმიანობის პროცესში რეფლექსია; - პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვა;
სწავლა-სწავლების მეთოდები	ზეპირსიტყვიერი მეთოდები - მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია; წიგნზე მუშაობის მეთოდები - დამოუკიდებელი და

	ახსნითი კითხვა; პრაქტიკული მუშაობა - სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა; ანალიზის და სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; გონებრივი იერიში;
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
დასაქმების სფეროები	↙ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ↙ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი; ↙ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ↙ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი; ↙ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი; ↙ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ადმინისტრაციული რგოლი; ↙ უმაღლესი სკოლის ადმინისტრაციული რგოლი; ↙ განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სახელმწიფო დაფინანსება, / ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით/
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 15 (5 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ემერიტუს პროფესორი), ხოლო 17 მოწვეული მასწავლებელი. პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ. 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ

	ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამის მიზნებს ემსახურება უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე სტუდენტმა ენის ცოდნა უნდა გაუმჯობესოს B 2 დონემდე

სასწავლო გეგმა[1]

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: განათლების მეცნიერებები / Education Sciences

სწავლების საფეხური: სამაგისტრო

კრედიტების რაოდენობა: 120

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ივანე მინდაძე, ქეთევან ჭკუასელი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: N: 99 თარიღი: 22/07/2019;
(ცვლილებები: დადგენილება N: 90/2020; 11/09/2020; დადგენილება N: 71/2020; 21/07/2020; დადგენილება N: 24/2021; 22/02/2021; დადგენილება N: 38/2021; 26/04/2021; დადგენილება N: 85/2021 თარიღი: 21/09/2021; დადგენილება N: 15/2022; 14/02/2022), დადგენილება N:62/2022 თარიღი: 26/07/2022);
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2019.2020 სასწავლო წელი - 03.2020

პროგრამის სტრუქტურა (III ვარიანტი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი														
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი / ლექტორები
										I	II	III	IV	
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკუმი /	-							
პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები 75 კრედიტი														
1		განათლების ისტორია	5	15	30				წინაპირობის გარეშე	+				ქეთევან ჭკუასელი, თამაზ კარანაძე,
2		ფილოსოფიის ძირითადი საკითხები	5	15	30				წინაპირობის გარეშე	+				თამარ გეგეშიძე
3		პედაგოგიკა 1	5	30	15				წინაპირობის გარეშე	+				ქეთევან ჭკუასელი, მარინე გოგნელაშვილი
4		პოლიტიკური იდეოლოგიები და განათლება	5	15	15				წინაპირობის გარეშე	+				სალომე დუნდუა
5		საქართველოს ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები	5	15	30				წინაპირობის გარეშე					ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი,

6		საქართველოს უმაღლესი განათლების სამართლებრივი საფუძვლები	5	15	15				წინაპირობის გარეშე	+				ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი,
7		განვითარებისა და სწავლის თეორიები	5	30	15				წინაპირობის გარეშე		+			თეონა ლოდია
8		შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	5	15	15				წინაპირობის გარეშე		+			სოფო დოლიძე, ია კუტალაძე
9		ინკლუზიური განათლება	5	15	30				წინაპირობის გარეშე		+			მაია შაშვიაშვილი, თეონა ლოდია
10		შეფასება საგანმანათლებლო სფეროში	5	15	30				წინაპირობის გარეშე		+			ივანე მინდაძე
11		პედაგოგიკა 2	5	15	30				პედაგოგიკა 1		+			ქეთევან ჭკუასელი, მარინე გოგნელაშვილი,
12		კვლევის მეთოდები განათლებაში 1	5	15	30				პედაგოგიკა 1		+			რუსუდან სანაძე
13		პროფესიული პრაქტიკა	5						პედაგოგიკა 2			+		მეგი ესებუა,

														ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, ეფემია ხარაძე
14		კვლევის მეთოდები განათლებაში 2	5	15	30				კვლევის მეთოდები განათლებაSი 1			+		რუსუდან სანაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მარინე გოგნელაშვილი
15		სტატისტიკა და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი-SPSS-ის საშუალებით	5	15	30				კვლევის მეთოდები განათლებაში 1			+		გიორგი ჭუმბურიძე, ნანა სუმბაძე
პროგრამის სავალდებულო/არჩევითი საგნები - ზოგადი განათლების ბლოკი - 10 კრედიტი														
16		ხარისხის მართვა ზოგად განათლებაში	5	15	15				პედაგოგიკა 2			+		ზაქრია ქიტიაშვილი, ქეთევან ჭკუასელი
17		ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვა	5	15	30				პედაგოგიკა 2			+		სალომე ტყებუჩავა, ვასილ კაკუტიძე
პროგრამის სავალდებულო/არჩევითი საგნები - უმაღლესი განათლების ბლოკი - 10 კრედიტი														
18		ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში	5	15	30				პედაგოგიკა 2			+		ირმა გრძელიძე

19		მართვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	5	15	30				პედაგოგიკა 2			+		მაკა კორძაძე
პროგრამის არჩევითი საგნები - 15 კრედიტი														
20		სახელმწიფო და საერთაშორისო კვლევები და შეფასება	3	15	15				შეფასება საგანმანათლებლო სფეროში					ივანე მინდაძე
21		სამაგისტრო სემინარი	3	15	15				კვლევის მეთოდები განათლებაში 2					რუსუდან სანაძე თამარ გეგეშიძე
22		საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა	3	15	15				პედაგოგიკა 2					ქეთევან ჭკუასელი, ნინო ხითარიშვილი
23		ზრდასრულთა განათლების საკითხები	3	15	15				პედაგოგიკა 2					რუსუდან სანაძე, მეგი ესებუა
24		განათლების ფილოსოფია	3	15	15				ფილოსოფიის ძირითადი საკითხები					ლია წურწუმია, თამარ გეგეშიძე
25		კარიერის განვითარება და მენეჯმენტი	3	15	15				შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია					სოფიო დოლიძე
26		განათლების სოციოლოგია	3	15	15				პედაგოგიკა 2					თამარ შინჯიაშვილი
27		განათლების ეკონომიკა და ფინანსები განათლებაში	3	15	15				პედაგოგიკა 2					ნინო შარვაშიძე
28		სოციოლოგიის საკითხები	3	15	15				წინაპირობის გარეშე					ამირან ბერძენიშვილი

29		სოციალური პედაგოგიკა	3	15	15				პედაგოგიკა 2					თამაზ კარანაძე
30		შედარებითი პედაგოგიკა	3	15	15				პედაგოგიკა 2					ნინო შარვაშიძე
31		კურიკულუმის განვითარების თეორიები	3	15	15				პედაგოგიკა 2					ნინო შარვაშიძე
32		საუნივერსიტეტო განათლების ტენდენციები	3	15	15				პედაგოგიკა 2					თამარ გეგეშიძე, ქეთევან ჭკუასელი
33		სამოქალაქო განათლება	3	15	15				პედაგოგიკა 2					გიორგი პაპუაშვილი, გიორგი სახელაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი გიორგი ჟირონ სოფრომაძე
34		კულტურულ-საგანმანათლებლო ინოვაციები თანამედროვე სასწავლო პროცესში	3	15	15				პედაგოგიკა 2					ირინე საგანელიძე, ნინო ჩიქოვანი
35		ინტერკულტურული განათლება	3	15	15				პედაგოგიკა 2					ნათია ნაცვლიშვილი, ნინო ჩახუნაშვილი
36		სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა	3	15	15				პედაგოგიკა 2					ეფემია ხარაძე
37		უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	3	15	15				პედაგოგიკა 2					თამაზ კარანაძე, ქეთევან ჭკუასელი,
38		განათლების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები	3	15	15				პედაგოგიკა 2					გიორგი შერვაშიძე

39		განათლების ეკონომიკა და ფინანსები განათლებაში	3	15	15		—		წინაპირობის გარეშე			+		თინათინ გაბრიჩიძე
40		საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა	3	15	15		—		წინაპირობის გარეშე			+		ირმა გრძელიძე
41		განათლების პოლიტიკის დაგეგმვა და ანალიზი	3	15	15		—		წინაპირობის გარეშე					სანდრო ტაბატაძე
42		საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება	3	15	15		—		წინაპირობის გარეშე					ირმა გრძელიძე
43		**E-LEARNING-FROM STRATEGY AND PEDAGOGY TO IMPLEMENTATION AND DELIVERY**	3	15	30				Pedagogy 2					**George Dafoulas Irma Grdzelidze Rusudan Sanadze**
44		უმაღლესი და პროფესიული განათლების საერთაშორისო ეკოსისტემა	3	15	15		—		წინაპირობის გარეშე					გიორგი შარვაშიძე
45		Ecosystem of Tertiary Education	3	15	15		—		No prerequisite					George Sharvashidze
46		საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში	3	15	15				წინაპირობის გარეშე					იზაბელა პეტრიაშილი შოთა ბარბაქაძე ქრისტინე ჩიხლაძე ანა კობახიძე
47		Education for Sustainable Development	3		30				No prerequisite					Dr.Ulrich Schachtschnerider, Prof. Dr. Bünning, H. Tegelbeckers

														Irma Grdzelidze
		არჩევითი საგნები	6 /3-3/	15 15	15 15				პედაგოგიკა2			+		
		არჩევითი საგნების განაწილება სემესტრების მიხედვით	9 /3-3-3/	15 15 15	15 15 15								+	
სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი														
42		სამაგისტრო ნაშრომი	20				—		კვლევა განათლებაში 2				+	

ამ ინფორმაციას პროგრამის აღწერში ჩავწერ. ბლოკებში საგნები პრიორიტეტების მიხედვით დავალაგე.

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

თარიღი——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი